პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ხუთშაბათი, 5 თებერვალი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

№ 27 (715) 1 და 2 ქ. მ. დ. კოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

## საფრანგეთის კომპარტიის მიღწევები მოსვენებას არაძლევენ ბურჟუაზიას.

მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად იცნო საბჭოთა კავშირი და ბატონი ერიო დიდის ხმით გაიძახის ჩვენთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შესახებ, იქაური ბურჟუაზიული, თუ სოციალ-გამყიდველების პრესა მაინც განაგრძობს ჩვენ საწინააღმდეგო კამპანიას.

ვინ მოსთვლის იმ ცილისწამებებს და ლანძღვა-გინებას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს საფრანგეთის გამყიდველური გაზეთებში. რაშია საქმე? რამ აალელვა ბატონი ბურჟუები და მათი მოსარჩლე სოციალ-შემთანხმებლები? ამის პირველი მიზეზი უნდა ვეძიოთ საბჭოთა და საფრანგეთს შორის მომავალ მოლაპარაკებაში.

საფრანგეთის კაპიტალისტები მიმართავენ კვლავ მუქარის ხერხს. მათ გონიათ რომ ამ გზით ისინი დააშინებენ საბჭოთა ხელისუფლებას და აიძულებენ მას დათმობაზე. და აი წყეული უბრალო ქუჩური გაზეთიდან და გათავებული ... პარლამენტის ტრიბუნით საფრანგეთიდან ისმის მხოლოდ საბჭოთა კავშირის გინება, ლანძღვა და მუქარა მის მისამართზე. ცხადია, როგორც ბევრჯელ აღინიშნა ჩვენს მიერ ... გზით საფრანგეთის იმპერიალისტები ვერას გახდებიან ჩვენთან და ზარალში მხოლოდ ისინი დარჩებიან.

ბურჟუაზიული საფრანგეთის აღრაზის მეორე მიზეზს უსაფუოთ წარმოადგენს კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება საფრანგეთში. რაც დღე მიდის საფრანგეთის კომუნისტური პარტია მით უფრო და უფრო იზრდება რიცხვობრივათ და ხარისხოვნობითაც. ის ამ ჟამად წარმოადგენს კომინტერნის ერთ ერთ უძლიერეს ფრაქციას. საფრანგეთის კომპარტია ... ცილებით უფრო ძლიერი და მასიური პარტიაა ვიდრე სოციალისტური პარტია.

ეს სავსებით დამტკიცდა ჟორესის გვამის გადატანის დროს პანთეონში. მასები, რომლებიც მიყვებოდნენ დემონსტრაციის დროს კომუნისტებს თავის რაოდენობით დიდათ აღემატებოდნენ მათ, ვინც მონაწილეობას ღებულობდა ოფიციალურ მანიფესტაციაში ბურჟუაზიულ პარტიებისა და სოციალ—შემთანხმებლების მეთაურობით. ამასთანავე ერთად კომუნისტური პარტია ენერგიულად ებრძვის ფაშიზმის ზრდას საფრანგეთში. ის ანტი-ფაშისტური დემონსტრაციები, რომლებიც დღეს სწარმოებს საფრანგეთის ყველა ნაწილებში კომპარტიის მეთაურობით, ნათლად ამოწმებენ მშრომელთა მასების რევოლიუციონურ გამოღვიძებას. მასები გრძნობენ ფაშიზმის საფრთხეს და აქტიურად გამოდიან მის წინააღმდეგ კომპარტიის მეთაურობით.

ამ მოკლე ხანში კომპარტიის თაოსნობით აგრეთვე მოეწყო საფრანგეთში გლეხთა საბჭო, რომელთა მიზანია ფართე გლეხთა მასების ჩაბმა რევოლიუციონურ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ცხადია კომპარტიის ყველა ეს მიღწევები მოსვენებას არ აძლევენ საფრანგეთის ბურჟუაზიას და გამყიდველ სოციალისტებს. ამიტომ არის რომ ისინი ასე მწარედ იკბინებიან, როგორც შემოდგომის ბუზები. მაგრამ ყოველგვარ მათ პროვოკაციულ გამოსვლას საფრანგეთის კომუნისტები სასტიკად აბათილებენ და აასკეცებენ თავის ძლიერებას.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ რომ საფრანგეთის კომუნისტებიც ასეთივე წარმატებით განაგრძობენ თავის რევოლიუციონურ მუშაობას და სრული გამარჯვებით დააგვირგვინებენ პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს.

## სუსხიან ზამთრის შედეგებთან ბრძოლის შესახებ

უმაგალითო სუსხიანმა და მკაცრმა ზამთარმა დიდი ზარალი მიაყენა ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს სასოფლო მეურნეობას. ჯერ-ჯეროდ ბით გამოურკვეველია ზარალის ... თელი რაოდენობა, მაგრამ ის საერთო ხასიათის ცნობები, რომლებიც დღეს მოეპოება სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ნათლად გვიხატავენ სოფლის მეურნეობის უნუგეშო მდგომარეობას.

გლეხობა მოუმზადებელი შეხვდა ზამთარს, ვინაიდან არავინ არ მოელოდა ასეთ ცუდ ამინდებს, რომელიც საქართველოსათვის მეტად არა ჩვეულებრივი მოვლენაა.

თოვლმა და ყინვამ დიდათ დააზიანა შემოდგომის ნათესიყანები, განადგურებამდე მიიყვანა ძვირფასი მცენარეულობა ვენახი, ფორთოხალი, მანდარინები და სხვ. განსაკუთრებით კი ვენახი. მკაცრმა ზამთარმა არ დაინდო არც შინაური ოთხფეხი. წინასწარი გამოკვლევით დაიღუპა მუშა-საქონელი, რაც 8 მილიონ მანეთის ზარალს უდრის. გარდა ამისა ბევრი ადგილები დღესაც მოწყვეტილი არიან ცენტრს და დიდ კრიზისს განიცდიან სურსათის მხრივ. ზოგ ადგილებში ყინვამ გააფუჭა სურსათის მარაგი, ზოგან კი მდინარეების გაყინვის გამო არ მუშაობენ წისქვილები. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ წლეულს ისედაც ცუდი მოსავალი იყო, ჩვენთვის სავსებით აშკარა გახდება ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება დღეს სოფლის მუშა სურსათ-სანოვაგის მხრივ.

ცხადია ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენგან ზამთრის შედეგებთან საბრძოლველად დაუყონებლივ სათანადო ზომების ორგანიზაციას. სასწრაფოდ უნდა იქმნას გამორკვეული ზარალის ნამდვილი რაოდენობა და დაზარალებულ რაიონებს უნდა აღმოეჩინოს სათანადო დახმარება თესლეულობის და სურსათის მიწოდებით. მთავრობის მიერ ამ მხრივ უკვე მუშავდება შესაფერი ღონისძიებები.

მუშურ-გლეხური ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას გაუწევს გლეხის მეურნეობას. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა ადგილობრივადაც გამოიჩინონ ჯეროვანი უნარი და ენერგია და საერთო ძალღონით აანაზღაურონ ზამთრის ზარალი. დახმარების ორგანიზაციის საქმეში ფართედ უნდა იქმნას ჩაბმული თვით გლეხთა მასები, რაც დიდათ ხელს შეუწყობს ზამთრის ცუდი შედეგების დაძლევას.

—ი.

## ამხ. სტალინი გერმანიის კომპარტიის მომავალისა და მისი ბოლშევიზაციის შესახებ.

### საუბარი გერმანიის კომპარტიის წევრთან,— ამხ. გერცოგთან.

გერმანიის კომპარტიის წევრთან, ამხ. გერცოგთან საუბარში, ამხ. სტალინი (ჯუღაშვილი) შეეხო გერმანიის პოლიტიკურ და ეკონომიურ პერსპექტივებს (მომავალს).

მან აღნიშნა დოუესის გეგმის დადებითი და უარყოფითი მხარეები და მნიშვნელობა გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობაში; გამოსთქვა აზრი გერმანიის პროლეტარიატის მომზადების შესახებ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისდ და სხვა.

შემდეგ ამხ. სტალინი გადავიდა პარტიის ბოლშევიზაციის საკითხზე და განაცხადა:

„რათა გატარებულ იქნას ბოლშევიზაცია, საჭიროა მიღწეულ იქნას ზოგიერთი ძირითადი პირობა, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოდ კომუნისტური პარტიის ბოლშევიზაცია.

საჭიროა ამბობს ამხ. სტალინი—პარტია წარმოადგენდეს არა დამატებას პარლამენტის საარჩევნო მექანიზმისა, როგორსაც სოციალ-დემოკრატები წარმოადგენენ და არც პროფკავშირთა „უფასო დამატებას“, როგორც ამას ამტკიცებენ ხანდახან ანარქო-



ამხ. სტალინი

სინდიკალისტები, არამედ პარტია უნდა წარმოადგენდეს პროლეტარიატის კლასობრივ გაერთიანებას, რომლის მოწოდებაა უხელმძღვანელოს პროლეტარული ორგანიზაციების ყველა დანარჩენ ფორმებს—დაწყებული პროფკავშირებიდან პარლამენტის ფრაქციებამდი.

საჭიროა, რათა პარტიამ და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელმა ელემენტებმა უნაკლოდ შეითვისონ მარქსიზმის რევოლიუციონური თეორია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული რევოლიუციონურ პრაქტიკასთან.

საჭიროა, რათა პარტიამ გამოიმუშავოს ლოზუნგები და დირექტივები არა დასწავლილ ფორმულებზე და ისტორიულ შედარებებზე, არამედ რევოლიუციონურ მოძრაობის შინა და გარეშე ძალთა ზედმიწევნით შესწავლაზე, სადაც აუცილებლად მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში ყველა ქვეყნების რევოლიუციების გამოცდილება.

საჭიროა, რათა პარტიამ გადაშინჯოს ლოზუნგებისა და დირექტივების სისწორე მასების რევოლიუციონური ბრძოლის ცეცხლში.

საჭიროა, რათა პარტიის მთელი მუშაობა, განსაკუთრებით თუ მასში არ არის განდევნილი სოციალ-დემოკრატიული ტრადიციები, მოწყობილ იქნას ახალ რევოლიუციონურ პრინციპებზე ისე, რომ პარტიის ყოველი ნაბიჯი და გამოსვლა ბუნებრივად უნდა იყოს მიმართული მასების გარევოლიუციონერობისაკენ, მუშათა კლასის მომზადებისაკენ რევოლიუციონურ სულზე.

საჭიროა, რათა პარტია თავის მუშაობაში დაეყრდნოს უმაღლეს პრინციპიალურობას, ურომლისოდაც პარტიას არ შეუძლია არა მხოლოდ ასწავლოს პარტიებს, არამედ მათგანაც ისწავლოს; არა მხოლოდ გაუძღვეს მასებს და აიყვანოს ის პარტიის დონემდე, არამედ ყური უგდოს მასის ხმას და გაიგოს მათი საჭიროებანი.

საჭიროა, რათა პარტიას შეეძლოს შეაუღლოს თავის მუშაობაში შეურიგებელი რევოლიუციონერობა (არა რევოლიუციონური ავანტიურიზმი) და დიდი მოქნილობა ურომლისოდაც შეუძლებელია პარტია დაეუფლოს ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმებს, დაუკავშიროს პროლეტარიატის ყოველდღიური ინტერესები პროლეტარული რევოლიუციის ძირითად ინტერესებს, შეუფარდოს ერთმანეთს თავის მუშაობაში ლეგალური და არალეგალური მუშაობა.

საჭიროა პარტია არ ჰფარავდეს თავის შეცდომებს, არ ეშინოდეს კრიტიკის, შეეძლოს თავისი კადრის გაუმჯობესება და აღზრდა თავის საკუთარ შეცდომებზე.

საჭიროა პარტიას შეეძლოს ძირითად ხელმძღვანელ ჯგუფში საუკეთესო მოწინავე მებრძოლთა ამორჩევა, რათა გახდეს პროლეტარული რევოლიუციის ნამდვილი ბელადი, რომელსაც შეეძლოს ლენინიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენება.

საჭიროა, რათა პარტიამ სისტემატიურად აუმჯობესოს თავისი ორგანიზაციების სოციალური შემადგენლობა და იწმინდებოდეს გახრწნილ ოპორტუნისტულ ელემენტებისაგან სადაც მიზნად უნდა ჰქონდეს უმწვერვალესი სიწმინდისა და სიწრფელის მიღწევა.

საჭიროა, პარტიამ გამოიმუშაოს პროლეტარული მტკიცე დისციპლინა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს იდეური შეკავშირება, პრაქტიკულ მოქმედების მთლიანობა, პარტიის ამოცანებისადმი შეგნებული მოპყრობა ფართე პარტიულ მასების მხრივ და სხვა.

საჭიროა, რათა პარტიამ სისტემატიურად გადასინჯოს თავისი დირექტივებისა და დადგენილებათა ასრულება, ურომლისოდაც ზომები შეიძლება უშედეგოდ დარჩენ და პროლეტარულმა მასებმა უნდობლობით შეხვდენ მათ.

ასეთი პირობების გარეშე ბოლშევიზაცია ცარიელი სიტყვა იქნება.

## რურის მრეწველებზე მიცემულ კრედიტის გარშემო.

### კომუნისტ შტეკერის წინადადება.

რურის მრეწველებზე მიცემულ კრედიტის გამომჟღავნების გამო, კომუნისტების დეპუტატმა შტეკერმა რეიხსტაგის სხდომაზე მოითხოვა, რათა შექმნილ იქნას სპეციალური კომისია, რომელშიც უნდა შედიოდეს ყველა პარტიებიდან 18 წარმომადგენელი, და რურის სამრეწველოების მუშებიდან 18 დელეგატი, რომლებმაც უნდა გამოიძიონ აღნიშნული საქმე.

შტეკერმა მოითხოვა აგრეთვე ყოფილ რეიხსკანცლერებს—კუნოს, შტრეზემანის მარქსის და დღევანდელ რეიხსკანცლერის ლიუტერის პასუხის გებაში მიცემა.

# მუშები სასტიკად ილაშქრებენ ფაშისტების წინააღმდეგ.

## სოციალისტების მოღალატეობა.

საფრანგეთის სხვა და სხვა ადგილებში იმართება ფაშისტების წინააღმდეგ მუშათა მანიფესტაციები.

სან-ბრიეში გენერალ კასტელნოს მისვლის დროს გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 800 კაცი. ორატორები მოითხოვდენ დუარნენის გაფიცულ მუშათა თავდასხმის მოწყობაში დამნაშავეთა დასჯას, (ამ საქმის მოწყობას აბრალებენ მილიერანს, გენერალ კასტელნოსა და დეპუტატ ტეტენჟეს) და აგრეთვე ფაშისტურ ლიგის დაშლას.

ასეთივე მანიფესტაცია მოხდა აგრეთვე რუბეში მილიერანის წასვლის დროს. ილაპარაკა კომუნისტმა რენოჟანმა, რომელსაც დიდის აღფრთოვანებით შეეგება რამოდენიმე ათასი მუშა. სოციალისტებმა უარი განაცხადეს მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღებაზე.

# მეპატრონეთა ხრიკები.

### 2500 მუშის დათხოვნა.

პარიზის ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში დაითხოვეს 2.500 მუშა ვითომდა დაკვეთის სიმცირის გამო. მუშათა წრეებში ფიქრობენ, რომ ამ დათხოვნის შემდეგ მეპატრონეები შეეცდებიან დაუკლონ ქირა ქარხანაში დარჩენილ მუშებსაც.

# ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა.

## მისალმებანი ამხ. რიკოვისადმი.

ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოების ყრილობაზე დახასიათებულ იქნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, ამხ. რიკოვის მოღვაწეობა.

ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გიქოიანმა განაცხადა: „რიკოვმა სახკომსაბჭოს ერთი წლის თავმჯდომარეობით ძრავალი ახალი გამარჯვებები მოგვანიჭა“-ო.

შინა სამრეწველო მუშათა დელეგაციამ უძღვნა რიკოვს წითელი დროშა.

მისალმების სიტყვაში რიკოვმა განაცხადა:

„რომ ლენინი დასწრებოდა ამ ყრილობას, მას გაახარებდა ორი მიღწევა: მთიელეთის ხალხის გაღვიძება და ქალის გამოსვლა საბჭოთა აღმშენებლობის სარბიელზე“. რიკოვის სიტყვას ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდენ. დელეგატები ფეხზე ადგენ და ხანგრძლივი ოვაცია (ტაში) გაუმართეს მას.

# რიკოვი მუშებთან.

როსტოვში ამხ. რიკოვმა ინახულა ტყვეულობის ქარხანა, საიდანაც გამოემგზავრა ნახიჩევანში. აქ მან დაათვალიერა მიწის დამმუშავებელი მანქანები. აქ რიკოვმა მუშათა ათასიან კრებაზე გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ილაპარაკა საბჭოთა მთავრობის მიზნებზე მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში და სხვა. მუშები და გლეხები აღფრთოვანებით ეგებებოდენ მას.

# ამხ. კალინინი უზბეკებთან და თურქმენებთან.

ამხ. კალინინი მივიდა ტაშკენტში, რათა მონაწილეობა მიეღო უზბეკ-თურქმენების პარტიულ და საბჭოთა ყრილობებზე.

ამხ. კალინინს დიდძალი ხალხი შეეგება სადგურთან, სადაც ის მიესალმა ტაშკენტის მშრომელებს საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასკომის სახელით.

როსტას თანამშრომელთან საუბარში შუა აზიის პოლიტიკის შესახებ კალინინმა განაცხადა: „საჭიროა ახლოს მივიდეთ ღარიბ მოსახლეობასთან, რაც შეიძლება მეტი ვილაპარაკოთ და მოვუსმინოთ მას. ღარიბებთან და მოჯამაგირეებთან დამოკიდებულობა გამომდინარეობს ჩვენი საერთო პოლიტიკიდან“.

კალინინი შეეხო აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა საკითხს და განაცხადა, რომ უზბეკები და თურქმენები მზრუნველობით უნდა მოეპყრან პატარა ერებს, რომლებიც სუსტები არიან თავისი მცირე-რიცხოვნობით.

# ლენინელთა მეორე გაწვევა.

მოსკოვის რაიკომების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირზე ირჩეოდა საკითხი მუშების ლტოლვის შესახებ რკპ-სკენ, განსაკუთრებით ლენინის დღეებში.

როგორც გამოირკვა, პარტიაში უკანასკნელად შემავალი მუშები მეტი კვალიფიკაციის მქონე და აქტიურებია, ვინემ გასულ წლის პარტიაში შემავალნი.

# ქ. ტფილისის საბჭოთა არჩევნების გადადება.

## საბჭოთა არჩევნები ქ. ტფილისსა და მის მაზრაში გადადებულია თებერვლის მეორე ნახევრისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის გადადების გამო.

# საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

**ლეჩხუმის მაზრაში.**

— **ოყურეშის თემი.** ოყურეშის სათემო საბჭოში არჩეულია 33 დეპუტატი. აქედან 19 კომუნისტი და 1 ქალი.

— **ნაყურალეშის თემი.** სათემო საბჭოს არჩევნები დასრულდა. აირჩიეს 43 კომუნისტი და ორი ქალი, სულ 46 დეპუტატი.

**ბორჩალოს მაზრაში.**

— **კაზრეთის თემი.** სათემო საბჭო არჩეულია. აირჩიეს 11 დეპუტატი.

მათ შორის 3 ქალი.

— **დმანისის თემი.** სათემო საბჭოს წევრებათ აირჩიეს სულ 22 კაცი, აქედან 3 ქალია.

— **ძველი ქვეშის თემი.** საბჭოს არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 17 დეპუტატი.

— **ბოლნის ხაჩენი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 12 წევრი. აქედან 3 კომუნისტია და 3 ქალი.

— **ბოლნის კაპანახჩის თემი** სათემო საბჭოში არჩეულია 25 დეპუტატი. აქედან 6 ქალია და 1 კომუნისტი.

— **დემირ გასანლის თემი.** სათემო საბჭოს არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 24 დეპუტატი.

**ზუგდიდის მაზრაში.**

ზუგდიდის რაიონის 11 თემში სულ არჩეულია 218 დეპუტატი. აქედან 74 კომუნისტი და 12 ქალი.

**ზუგდიდის საბჭოში.**

ზუგდიდის საბჭოში აირჩიეს 45 წევრი. აქედან 30 კომუნისტია და 5 ქალი.

**სიღნაღის მაზრაში.**

— **ბოდბის თემში.** ბოდბის სათემო საბჭოში არჩეულია 47 წევრი. აქედან 13 კომუნისტია და 8 ქალი.

— **ვაქირის თემში.** ვაქირის სათემო საბჭოში აირჩიეს 38 დეპუტატი. აქედან 12 კომუნისტი და 2 ქალი.

— **კარდანახის თემში** აირჩიეს 57 დეპუტატი. კომუნისტი 17 და ქალი 10.

— **ბაკურციხის თემში.** სათემო საბჭოში გავიდა 15 კომუნისტი და 9 ქალი სულ არჩეულია 41 წევრი.

# ამხ. ტროცკის შეცდომები ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

## ოქტომბრის რევოლიუციის ყალბი დახასიათება.

უდიდესი შეცდომა ამხ. ტროცკიმ ჩაიდინა სულ უკანასკნელ დროს, 1924 წლის დასასრულს. ამ შეცდომამ აიძულა მთელი პარტია აეტეხა განგაში და დაესვა საკითხი ამხ. ტროცკის შემდეგი მუშაობის შესახებ პარტიის და სახელმწიფოს ხელმძღვანელ ორგანოებში.

ეს აიხსნება იმით, რომ ამხ. ტროცკის უკანასკნელმა შეცდომამ აშკარად დაგვანახა, რომ ამხ. ტროცკი არ უარყოფს თავის ძველ შეცდომებს, რომლებიც სასტიკად დაჰგმო მთელმა პარტიამ. ის ჯიუტობს, კვლავ მართლად სთვლის თავს და თანდათან შორდება პარტიის საერთო, ე. ი. ლენინიზმის ხაზს. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს უხაროდათ და ფიქრობდენ, რომ ამხ. ტროცკის საქციელი გამოიწვევს განხეთქილებას პარტიაში და ძლიერ ისაკენ წაიყვანს საბჭოთა ხელისუფლებას.

რა გააკეთა სახელდობრ ამხ. ტროცკიმ ისეთი, რამაც შეაწუხა პარტია და გაახარა ჩვენი მტრები?

ამხ. ტროცკიმ გამოსცა წიგნი, რომელშიაც მოათავსა 1917 წელში და თებერვლის რევოლიუციის შემდეგ რუსეთში დაწერილი წერილები. წინასიტყვაობის სახით მან დაურთო წერილი შემდეგი სათაურით: „ოქტომბრის გაკვეთილები.“ რასაკვირველია ყოველ პარტიის წევრს და უპარტიოს უნდა აინტერესებდეს, თუ როგორ მომზადდა და მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია. ეს სასარგებლოა ჩვენთვისაც, ვინც საბჭოთა ქვეყანაში ვცხოვრობთ, სასარგებლოა სხვა ქვეყნების მუშებისთვისაც, რომლებიც ახლა ხენ და მომავალშიაც მოახდენენ გამოსვლებს ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამხ. ტროცკიმ იმის მაგივრად, რომ მოეცა ოქტომბრის აჯანყების ნამდვილი სურათი, დაისახა მიზნად გაეტარებია თავისი შეცდარი შეხედულება და კვლავ გამოელაშქრებია ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოების წინააღმდეგ. გაკვეთილების მაგივრად მკითხველმა მიიღო ნამდვილი დომხალი ოქტომბრის წინა დღეებისა და ოქტომბრის აჯანყების შემთხვევათა ყალბი აღწერით.

ამხ. ტროცკი ჰყოფს მთელ კომუნისტურ ისტორიას ორ ნაწილად. პირველ ნაწილს ოქტომბრის რევოლიუციამდი, ე. ი. როცა ამხ. ტროცკი არ ყოფილა ჩვენს პარტიაში და პირიქით ებრძოდა მას, ამხ. ტროცკი არ სთვლის მნიშვნელოვანად და ყურადღების ღირსად.

მეორე ნაწილს კი როცა ამხ. ტროცკი შევიდა ჩვენს რიგებში და კარგად მუშაობდა ცენტრალურ კომიტეტისა და ლენინის ხელმძღვანელობის ქვეშ, ის სთვლის მეტად მნიშვნელოვანად. რასაკვირველია მეორე პერიოდის ასეთი დაპირისპირება პირველზე და ოქტომბრის წინა პერიოდის პარტისტორიის მნიშვნელობის დამცირება შეცდომაა. ჩვენი პარტია ვერ შესძლებდა ოქტომბრის რევოლიუციის კარგად ხელმძღვანელობას, რომ ის არ გამოჭედილიყო და გამობრძმედილიყო წინა პერიოდში ცარიზმთან, მენშევიკებთან და თვით ამხ. ტროცკისთან ბრძოლაში.

ამიტომ,—ასწავლოს სხვას ის, რომ პარტიის ისტორია ოქტომბრის წინა პერიოდში უმნიშვნელოა, ეს ნიშნავს დიდ შეცდომას, რაიც აიხსნება იმით, რომ ამხ. ტროცკი მიემხრო კომუნისტურ პარტიას მეტად გვიან.

თვით პარტიის მზადებას ოქტომბრის რევოლიუციისათვის, რომელიც ხდებოდა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის ქვეშ და რომლის ძირითადი ჯგუფი ეხლაც ხელმძღვანელობს ჩვენს პარტიას, ამხ. ტროცკი ყალბი სახით გამოხატავს. მისი ნაწერებიდან ისე გამოდის, რომ ვითომც ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ხელს უშლიდა ოქტომბრის რევოლიუციის მზადებას, და რომ ამხ. ტროცკი არ ყოფილიყო, არავითარი აჯანყება არ მოხდებოდა. ამხ. ლენინს კი, მუშებისა და გლეხების ბელადს ოქტომბრამდი, ოქტომბრის დროს და ოქტომბრის შემდეგ, ამხ. ტროცკი ახასიათებს ისე, რომ ლენინი ვითომც ვერ აფასებდა ოქტომბრის ცალკე მომენტებს, და რომ ამხ. ტროცკი არ ყოფილიყო, პარტია ჩაიდენდა ბევრ დიდ შეცდომებს.

ამხ. ტროცკი ახასიათებს მდგომარეობას ისე, რომ ვითომც ლენინსა და ცენტრალურ კომიტეტს მუდამ უთანხმოება ჰქონდათ ურთიერთ შორის; ვითომც ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ხელს უშლიდა ლენინს მუშაობაში. ის სარგებლობს შეცდომით, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის დროს ჩაიდინა ამხ. კამენევმა და ზინოვიევმა (ეს შეცდომა იმათ ჩქარა გამოასწორეს). რათა ჩვენი პარტიის ეს ძველი წევრები, ამხ ლენინის თანამებრძოლები ჩვენი პარტიის აღმშენებლობის ძნელ საქმეში, დახატოს ადამიანებათ, რომლებიც ყოველთვის სცდებიან.

აქ ამხ. ტროცკი განაგრძობს ცენტრალურ კომიტეტზე და მის ხელმძღვანელ ჯგუფზე თავის თავდასხმითი პოლიტიკას, რომელსაც ის აწარმოებდა თავის გამოსვლაში 1923 წელს.

ყველასათვის ცხადია, თუ რამდენად მავნებელია ეს პარტიისა და საბჭოთა კავშირისათვის, და მსოფლიო რევოლიუციის მთელი საქმისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობს კომინტერნი, სადაც მთავარ როლს, ცხადია, ჩვენი პარტია თამაშობს. ამას გარდა „ოქტომბრის გაკვეთილებში“ ამხ. ტროცკი აღნიშნავს, რომ ვითომც რევოლიუცია ჩვენში მოხდა ისე, როგორც მაზე სწერდა და ლაპარაკობდა ამხ. ტროცკი იმ დროს, როცა ის ჯერ კიდევ ებრძოდა ჩვენს პარტიას.

აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ ამხ. ტროცკის შეხედულება იმაზე, თუ როგორ მოხდებოდა ჩვენში რევოლიუცია, სრულიად შემცდარი იყო. ამხ. ტროცკი ამ საკითხში სრულებით არ უწევდა ანგარიშს გლეხობის როლს და არ ესმოდა, რომ თუ გლეხობა მონაწილეობას არ მიიღებდა რუსეთში რევოლიუცია შეუძლებელი იქნებოდა.

გასაგებია, თუ რატომ ისე სასტიკად აკრიტიკებდა ამხ. ლენინი ტროცკის შეხედულებას, რომელსაც შეეძლო დაეღუპა ჩვენი რევოლიუციის საქმე. რასაკვირველია ჩვენი რევოლიუცია მოხდა საერთოდ ისე, როგორც ამას ფიქრობდა ჩვენი ბელადი ამხ. ლენინი და მთელი ჩვენი პარტია. რადგანაც ამხ. ტროცკი ფიქრობდა, რომ რევოლიუცია მოხდა ისე, როგორც თვითონ ის ლაპარაკობდა ცხადია ამის გამო ჩაიდიოდა და სჩადის **მრავალ შეცდომებს თავის მუშაობაში.**

ეხლა გასაგებია, თუ რატომ გამოიწვია ამხ. ტროცკის გამოსვლამ სასტიკი პროტესტი მთელ ჩვენს პარტიაში და ძლიერი წინააღმდეგობა მიიღო ყველა ორგანიზაციების მხრივ. პარტიამ მოითხოვა შეწყვეტილიყო ამხ. ტროცკის გამოსვლები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა პარტიის ხაზს, რომლებსაც ირევ დარევა შეჰქონდა მუშებისა და გლეხების შეგნებაში და ახარებდენ ჩვენს მტრებს.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: გაფრთხილება მიეცეს ამხ. ტროცკის, რომ ლენინის პარტიის რიგებში ყოფნა და ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება. ამას გარდა სავსებით გასაგებია, რომ პარტიას არ შეეძლო დაეტოვებია ამხ. ტროცკი რევსამხსაბჭოს თავმჯდომარედ, სადაც საჭიროა მტკიცე ბოლშევიკური ხაზი მუშაობაში.

ჩვენი პარტია მოუწოდებს ყველა წევრებს და უპარტიოებს შეისწავლონ ლენინიზმი და კარგად გაარკვიონ ტროცკიზმის მავნებლობა მუშათა და გლეხთა კავშირისათვის.

ამხ. ტროცკის ძირითად შეცდომის შესახებ რომლისგანაც გამომდინარეობენ, სხვა შეცდომები, მოთავსებული იქნება ცალკე წერილი ჩვენს გაზეთში.

ვ. ხნეგირევი.

„კრ. ვოინი“.



## ყურადღება მიაქციეთ.

პირველ ლეგიონის სასადილოში შეჩნეული არიან ლეგიონის გარეშე მცხოვრებლების ბიჭ-ბუჭები, რომლებიც ჭამენ წითელ არმიელების მონარჩენ ნატეხებს.

ამაზე ვის რა საწინააღმდეგო ექნება საქმე იმაშია, რომ ხშირად ისინი იტაცებენ წითელ არმიელების პურს. როდესაც არმიელები მიდიან „ბორშის" მისაღებათ პურს მაგიდაზე სტოვებენ, რომელსაც უკვე ასაღებენ შემოჩვეული სტუმრები.

ეს დაუპატიჟებელი სტუმრები მეტის მეტ ძალადობას იჩენენ. თუ რაიმე უთხარით—კიდევაც შემოგიყვირებენ--მეც მაქვს მოცემული, რომ შამოვიდე აქო.

საჭიროა ყურადღება მიაქციოს ლეგიონის მორიგემ ამ ამბავს, ჩვენი სადილობის დროს მაინც ნუ იქნებიან შამოშვებული, თორემ ბევრი არმიელები მშიერი რჩებიან მათი ასეთი საქციელის გამო.

წ. არმ. მ—რი.

---

## ჩვენც გვინდა მეცადინეობა.

პირველი ქართული ლეგიონის შტაბში ვმსახურებთ თოთხმეტი წითელ არმიელი. ყველა მოვლენილები ვართ ლეგიონის სხვა და სხვა ასეულებიდან და პირნათლად ვასრულებთ ყველა დავალებებს. ყველაფრით კმაყოფილი ვართ, სურსათით და ტანსაცმელით თავის დროზე გვაკმაყოფილებენ, მაგრამ ამათ გარდა სხვა მოთხოვნილებანიც გვაქვს. გვინდა გონებრივი საზრდო, არც ჩვენ გვინდა ჩამოვრჩეთ სხვა ჩვენს ამხანაგებს ცოდნის შეძენაში. ამ მხრივ არავინ გვაქცევს ყურადღებას.

ამხანაგები ამის გამო დიდ საყვედურებას გამოსთქვამენ. ხშირად გაიგონებთ მათგან:—ლეგიონში, რომ დავრჩენილიყავით, ცოტა განვითარებას მაინც შევიძენდით. აქედან კი ისე უცოდინარები უნდა დავბრუნდეთ ჩვენს სოფლებშიო".

საჭიროა ჩვენთანაც ტარდებოდეს პოლიტ-საათები, დაარსებული იქნეს პოლიტ-წრე და აწარმოონ სხვა კულტურული ხასიათის მუშაობა.

ნაწილი დაცილებულია ჩვენზე და იქ ვერ დავიარებით ამისთვის. სამსახურიც არ იძლევა ამის საშუალებას.

ვსთხოვთ ვისაც ეს შეეხება, მოგვაქციონ ყურადღება, კვირაში ორი დღე მაინც იქნეს ჩვენთან მეცადინეობა და მოგვცენ საჭირო ხელმძღვანელიც.

წ. არ. ნ. ჩიგოგიძე.

---

## საერთო კრება.

23 იანვარს შესდგა 2-რე ლეგ. მეორე ათასეულის მეთაურ პოლიტ შემადგენლობის და წითელ არმიელთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

ს ჰაერო ფლოტის მნიშვნელობა, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედის დაარსება გარნიზონის მასშტაბში და მიმდინარე კითხვები.

საჰაერო ფლოტის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა საჰაერო ფლოტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ბარამიძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა. მომხსენებელმა, აღნიშნა აგრეთვე თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები საჰაერო ფლოტის გაძლიერების საქმეს და როგორ ვითარდება ჩვენში ეს საზოგადოება. მისი სიტყვით ჩვენ უკვე სამი საჰაერო ფლოტის ქარხანა გვაქვს.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები რის შემდეგ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ 2-რე ათასეულის მეთაურ-პოლიტშემადგენლობა და წ. არმიელები მთელი თავისი ძალ-ღონით შეუწყობენ ხელს საჰაერო ფლოტის გაძლიერებას, როგორც მატერიალური დახმარების გაწევით, ისე ფართო აგიტაციით მასაში.

შემდეგ ამხ. ბარამიძის მოხსენების თანახად დაარსებული იქნა გარნიზონში, საჰაერო ფლოტის უჯრედი. ამასთანავე კრებაში ამ მიმართულებით სათანადო მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილ იქნა უჯრედიდან, ერთი ამხანაგი და კრება დაიხურა.

ძიმითელი.

---

## ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება.

მეოთხე ლეგიონს დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივი ხელისუფლება. სამაზრო აღმასკომმა ამ რამოდენიმე ხნის წინად ლეგიონს გადასცა ათასი (1000) მანეთი ყაზარმების შესაკეთებლად და სხვა საჭიროებისათვის.

ლეგიონის ბიბლიოთეკა ძლიერ ცუდ შენობაში იყო მოთავსებული. ამ შემოწირულების შემდეგ დაიწყო როგორც ყაზარმების, ისე ბიბლიოთეკის შენობის შეკეთება, სულ მალე ლეგიონს ექნება შესაფერი შენობა ბიბლიოთეკისათვის.

29 იანვარს აღმასკომმა კიდევ გადასცა ლეგიონის კლუბს 300 მანეთი, საკლუბო მუშაობის გასაძლიერებლად.

მეოთხე ლეგიონის მთელი შემადგენლობა დიდ მადლობას უცხადებს აღმასკომს და განსაკუთრებით ამხ. ამხ. ქურდაძეს და რამიშვილს ჩვენზე ასეთი მზრუნველობისათვის. კლუბის გამგეობა აღუთქვამს ამხანაგებს, რომ ამხანაგების მიერ გაწეული დახმარებით, ის შეეცდება სათანადო მომზადებით აღჭურვოს წითელ არმიელები.

ლეგსამხკორი სუჯუნელი.

---

## დრამატიული წრე მეთაურთა სკოლაში.

თითეულ ნაწილის კლუბთან არსებობს დრამატიული წრე, და თუ ის საკმაოდ ძლიერია საკლუბო მუშაობაც უფრო შინაარსიანი და მხატვრულია.

ქართველ მეთაურთა სკოლის კლუბი, ამ მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავის მოწოდების სიმაღლეზე იყოს და მეტი კურსანტთა მასსა დააინტერესოს საკლუბო მუშაობით.

აქ დრამ-წრეც მთავარ მიზნად ისახავს ლიტერატურულ პოლიტიკურ მომზადებას და შესაფერ პოლიტ-მიმოხილვების დამუშავებას.

სკოლის საკლუბო მუშაობამ გასულ წლებში ამ მიზანს საკმაოდ მიაღწია და რამოდენიმე შრომის მოყვარე კურსანტს შესაფერი პოლიტ-ინსტრუქტორული მომზადებაც მისცა.

მიმდინარე წლის თებერვლიდან კლუბის უფროსის განკარგულებით ძველი წრეები დაშლილად გამოცხადდა და, როგორც სხვა წრეები დრამ-წრეც ახალი სდგება.

ახალი წრეების მეცადინეობა იწყება 5 თებერვლიდან და რადგანაც სკოლაში სპეციალური საწრეო მეცადინეობა მარტო ხუთშაბათობით სწარმოებს—აუცილებელია მეტი სიბეჯითე და თვით-მოქმედება.

დრამ-წრის ჩამოყალიბება წელს უფრო მიზან-შეწონილად მოხდა. ყოველი ოცეულიდან 4-4 მსურველისაგან სდგება ასეულის დრამწრე; ასეულისა და განყოფილებების დრამ-წრეები ხუთშაბათობით ერთად იკრიბებიან სამეცადინოთ, ხოლო მორიგ კომპანიის ჩასატარებლად ემზადება ესა თუ ის ასეული.

მუშაობაში ტეხნიკურ დახმარებას უწევენ ოცისთავები და პოლიტ-ხელები. ამიტომ ახალი დრამ-წრის მუშაობა უფრო ნაყოფიერი უნდა იყოს.

საკლუბო მუშაობას წელს მეტი ერთგული მეგობარი უნდა ჰყავდეს, ვიდრე ეს იყო წარსულში.

დრამ წრელი.

---

## მესანგრეების ცხოვრებიდან.

პირველ ცალკე მესანგრე ასეულის წითელ არმიელების უმეტესი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნენი იყვნენ. თავიდანვე დაიწყო ენერგიული მუშაობა ამ მიმართულებით და ამ ჟამად მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ასეულში წარმატებით მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია. პოლიტ საათებითაც ძლიერ არიან დაინტერესებული. წ. არმიელები.

სამხედრო სპეციალურ დარგში მეცადინეობას ცოტა შეუშალა ხელი სუსხიანმა ზამთარმა, მაგრამ ის რაც გაკეთდა და კეთდება ამ მიმართულებით უსათუოდ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ასეულში შესაფერ სიმაღლეზე სდგას აგრეთვე კულტურული მუშაობაც.

სამკითხველო და წიგნთ-საცავი უკვე მოწესრიგდა. ენერგიული ხელმძღვანელის მეცადინეობით მუშაობას უქმად არ ჩაუვლია.

ყოველ კვირაში ერთხელ ასეულში ეწყობა კომუჯრედის ღია კრებები, რომელსაც პარტიული ამხანაგების გარდა ესწრებიან უპარტიონიც. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ყველა საკითხების გარჩევაში.

პარტიაში შესვლის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდება ასეულში.

კომუჯრედის თითეულ ღია კრებაზე ირჩევა ამხანაგების განცხადებები და სათანადო გამოცდებისა და განხილვის შემდეგ ღებულობენ. ხშირად აკმაყოფილებენ მათ სურვილს.

სხვა და სხვა საზოგადოებებს სათანადო დახმარებას უწევს ასეული ყოველთვის.

2 თებერვალს მაგალითად ასეულის გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. ჯავახოვის მოხსენება—ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რევოლიუციონერების დევნის შესახებ, დაადგინეს:—ასეულის მთელი შემადგენლობა ეწერება რევოლიუციონერთა დამხმარე საზოგადოებაში და ფიცს იძლევა, ყოველ მხრივად გაუწიოს დახმარება ჯალათების მიერ ტანჯულ ამხანაგებს.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

---

## ჩვენც ვსწავლობთ წერა-კითხვას.

ეს ერთი თვეა რაც მეორე ლეგიონის 9-რე ასეულის წითელ არმიელებს დაეწყებიეს წერა-კითხვის სწავლება.

უჩვეულო იყო, საზღვარი არ უჩანდა ამხანაგების სიხარულს, როდესაც თავისი თავი სკოლის პარტებზე დაინახეს. არა ჩვეულებრივი ინტერესით უსმენდენ ამხანაგები მასწავლებლის თითეულ სიტყვას და სცდილობენ რაც შეიძლება ჩქარა შეისწავლონ წერა-კითხვა.

მეცადინეობას აწარმოებენ ახალი—კომპლექსიური მეთოდით. მეცადინეობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

გაკვეთილების შემდეგ ისინი აძლევენ მასწავლებლებს სხვა და სხვა საყურადღებო შეკითხვებს და დიდი გულმოდგინებით უსმენენ განმარტებებს.

იმედი გვაქვს ჩვენი ახალგაზრდა წითელ-არმიელები სულ მალე შეისწავლიან გარკვევით წერა-კითხვას და შესძლებენ თავის მშობლებს მისწერონ წერილები წითელი ყაზარმის და თავისი ყოფა ცხოვრების შესახებ.

სამხკორი ფურეს-ხეველი.

## ლენინ.

ლენინ! სახელი დაწერილი ცეცხლოვან ფერით
საუკუნეთა მსვლელობაში არ წაიშლება,
ლენინ! სახელი აღბეჭდილი მშრომელთა გულში
ვით მზე იცოცხლებს და ვითა მზე ის არ მოკვდება.

———

ლენინ! სახელი მაშვრალთ დროშათ ის გადაიქცა.
დღეს თავზარსა სცემს წითელ ფერის ის ორგულებსა,
იმედს უსახავს, ვინც მარადის შრომობს, ოფლსა ღვრის,
და გზას უნათებს სიმართლისთვის მებრძოლ გმირებსა.

——

ხუთი ასოა ამ სახელში და დედა-მიწის
ხუთ მატერიკზე ჩვენ გავაჩენთ ბრძოლის ხანძარსა,
დავსწვავთ ყველაფერს, რასაც აძევს სიძველის ფერი
და ამაყ ჰიმნით გადავლახავთ ქვეყნის საზღვარსა.

ელიოზ ხუციშვილი.

---

## სამხედრო საქმე

**წითელ-არმიელმა უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა.**

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირის მოქალაქე მიიღებს მუშათა და გლეხთა არმიის მეომრის წოდებას, ის თავის თავზე ამით ღებულობს ერთგვარ ვალდებულობასაც მშრომელთა ხალხის წინაშე. ეს გამოიხატება იმაში, რომ ის ვალდებულია დაიცვას და დაემორჩილოს ყველა იმ წესდებებსა და კანონებს, რომლებზედაც აგებულია წითელი ჯარი.

ყველა ეს დებულებანი და წესები აღნუსხულია სხვა და სხვა წესდებებში, რომლებიც განსაზღვრავენ მოვალეობათა სხვა და სხვა დარგებს.

სხვათა შორის შინა სამსახურის წესდება გამოხატავს ყველა იმ დებულებებს, რომლებით განისაზღვრება წითელ-არმიელთა და საზოგადოთ სამხედრო მოსამსახურეთა შინაურ ცხოვრება.

წითელ-არმიელის წმინდა მოვალეობას შეადგენს: ატაროს შეურყევლათ წითელი მეომრის სახელი, კეთილსინდისიერათ შეისწავლოს სამხედრო საქმე და თვალყური ადევნოს, რომ არ გაიფლანგოს სახალხო ქონება.

ცუდია ის მეომარი, რომელმაც არ იცის სამხედრო საქმე და არ შეუძლია მისი საჭიროების და მიხედვით გამოყენება. ამიტომ ის ვალდებულია უპირველეს ყოვლისა სათანადოთ შეისწავლოს ის და ამავე დროს თვალყური ადევნოს იმ სახალხო ქონებას, რომლითაც ის სარგებლობს ან კიდევ მისი ამხანაგი, არ იფლანგებოდეს და იხარჯებოდეს უბრალოთ არამეთ იხმარებდეს დანიშნულებისამებრ. ეს არის პირდაპირი მოვალეობა ყოველი საბჭოთა მოქალაქისა და უფრო უფრო რესათ წითელ-არმიელისა, ეს არის დიადი სამსახური მშრომელთა წინაშე.

წითელ-არმიელს უეჭველად შეგნებული და შეთვისებული უნდა ქონდეს რევოლიუციონური დისციპლინა. ეს არის საფუძველი ჯარის არსებობისა, ურომლისოდაც არც ერთ ჯარის ნაწილს მათზე დაკისრებულ ამოცანის შესრულება არ შეუძლია.

ყოველი სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს მუშათა და გლეხთა მთავრობის მიერ დაყენებულ უფროსებისა და კომისრების ბრძანებანი.

თავი შეიკავოს როგორც თვითონ, ისე შეაკავოს თავის ამხანაგები ყოველგვარ ასეთ საქციელისაგან, რომლებიც ჩირქს სცხებს საბჭოთა კავშირის მოქალაქეს და ყოველთვის მისი აზრი და ფიქრი მიმართული იყოს მშრომელთა განთავისუფლებისაკენ.

პირველ დაძახილზე ის ვალდებულია გავიდეს საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავათ ყოველგვარ ხიფათისაგან და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს სოციალიზმისა და მშრომელთა ხალხის თავისუფლებისათვის.

გარდა ამისა წითელ-არმიელს ევალება კეთილსინდისიერათ შეასრულოს ყველა დავალებები, მოთმინებით გადაიტანოს ყოველგვარი გაჭირვება, ძმური ხელი გაუწიოს თავის ამხანაგს ხიფათის დროს და განსაკუთრებით ბრძოლის დროს თავის სიცოცხლის დაუზოგველათ.

ყველა მის მიერ შემჩნეულის შესახებ, რომელიც თავის აზრით ავნებს საბჭოთა ხელისუფლებას, ვალდებულია საჩქაროთ მოახსენოს უშუალო უფროსს.

მ. გ.

# ამბები სოფლებიდან

**საქსოვი მანქანების გამოწერა.**

აჭარის ინვალიდთა კოოპერატიულმა შენაერთმა ბრემენიდან (გერმანიაში) გამოიწერა უკანასკნელი მოწყობილობის საქსოვი მანქანები, თავის საკუთარი საქსოვი სახელოსნოსათვის.

**ბებია ქალების მოწვევა.**

სოფ. კავთისხევში (გორის მაზრა) ადგილობრივი სასოფლო აღმასკომის მიერ მოწვეულია ორი ბებია ქალი, რომელნიც დახმარებას აღმოუჩენენ ადგილობრივ მცხოვრებლებს უფასოთ.

**კოლოფების სახელოსნო ქუთაისში.**

ქუთაისის გლეხკომის კოლოფების სახელოსნომ სექტემბრიდან წლის ბოლომდე დაამზადა 16.443 მანეთის საქონელი.

**სოფ. ტოლა.**

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს გამოიყენოს ყოფილ მემამულე ყიფიანის მამული სოფ. ტოლაში (ქვემო რაჭა) და მოაწყოს იქ საცდელ საჩვენებელი ვენახი.

**ქალები გლეხკომებში.**

ოზურგეთის სამაზრო გლეხკომის ცნობით გურიის ყველა გლეხკომებში გასული არიან წევრებათ ქალებიც.

**გლეხთა სასახლეში.**

ქუთაისის გლეხთა სასახლეში, რომელიც გაიხსნა შარშან, საქართველოს გასაბჭოების დღეს, ერთი წლის განმავლობაში ღამე გაუთევია 6.700 გლეხს.

# სამნეო დარგის საკითხები.

**სამნეო გეგმა.**

გაგრძელება.

თავის თავად ცხადია, რომ გეგმა შედგენილ უნდა იქნეს დროით იმ ანგარიშით, რომ მისი ასრულების დასაწყისს, გადათვალიერებულ და შეთანხმებულ იქმნას უფროს სამნეო მუშაკთან და წარედგინოს კიდეც ერთეულის თავს დასამტკიცებლად.

გეგმაში უნდა შედიოდეს მხოლოდ ის ღონისძიებანი, რომლებიც არაა შაბლონიური ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად საჭიროებას არ მოითხოვს შევიტანოთ ასეულის გეგმაში იმისთანა მუხლები, როგორიცაა ჯამაგირების მოთხოვნა ან სურსათ სანოვაგის მიღება საწყობიდან; ეს მუშაობა შაბლონიურია, რომელიც არავის არ დაავიწყდება უგეგმოთაც, თუმცა, რომ ვთქვათ, არ იქნება დიდი შეცდომა, გინდ ესეც იყოს გათვალისწინებული გეგმაში.

უმთავრესი მომენტები და ღონისძიებანი, რომელიც ეკუთვნის ასეულის სამნეო აღმშენებლობას არის შემდეგი: 1. ასეულის ბოსტნის ორგანიზაცია (მოწყობა) 2. საკარვო საწყობის თაროებით და ავეჯეულობით მოწყობა, 3. ტანთ და ფეხ საცმელის დაკერება, 4. ასეულის ცხენების შესაბამი იარაღის მოგვარება—მოწესრიგება, 5. პირის საბანის მოწყობა, 6. ათეულის ქონების აღრიცხვის მოწყობა, 7. ასეულის კარვობის მოწყობა და სხვა და სხვა.

ლეგიონის გეგმა შეიცავს ყველა იმ ღონისძიებებს, რაიც უნდა იქმნეს მიღებული ერთეულის სამნეო დარგის საუკეთესო დონეზე დასაყენებლად, ხოლო უმთავრესად კი საკითხები ჰამა—სმას გაუმჯობესებაზე და საერთოდ მომარაგებაზე, მაგალ. საქ‍ლის ხარშვა და პურის ცხობის მოგვარება, სასეზონო დამზადებანი, საზიდავების შესაბამ—იარაღის შეკეთება—გაუმჯობესება, ყაზარმების შეკეთება, კარვობის და იქვე სხვა და სხვა საწნეო საჭიროებისათვის მოწესრიგ—მოგვარებანი (როგორიცაა: სარდაფები, საწყობები, სასადილო, საკუჭნაო, პურის საცხობი და სხვა), სახელოსნოების მოწყობა და მათშივე მუშაობის განაწილება, ბოსტნების მოწყობა და სხვა ამგვარი.

თვითეული გათვალისწინებული გეგმით სამნეო ღონისძიება უნდა იყოს დამყარებული არსებულ სახსარზე ან კიდევ რეალურ—გადაწყვეტილ პერსპექტივაზე, ხოლო მისი ასრულება,—სწორი, გარკვეული ამოცანების წაყენებით,—დაევალოს—დანიშნულ ვადისთვის, რაც შეიძლება განსაზღვრულ პიროვნებას.

ერთეულის მიერ დამტკიცებული გეგმა აღმასრულებელთათვის უნდა ჩაითვალოს, როგორც ბრძანება, ამიტომ უკანასკნელებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, დავალებული ამოცანების პირნათლად შესასრულებლად.

იქნებოდა უფრო სწორი და საუკეთესო, რომ ბრძანებაში ცხადდებოდეს დამტკიცებული გეგმა.

ს. შაკუნი.

# პასუხი სამხკორს ამხ. მიხო საფირულს.

**გაზეთი „წით.-არმ.“-ს № 26(714).**

მაზარების მარაგი საერთოთ არაა. საარტილერიო ლეგიონის მნემ მიიღო ზომები საჭირო რიცხვის (მაზარების) მისაღებად, მაგრამ მას უარი ეთქვა. ამ ჟამად, როდესაც აღირიცხა ყველა ჯარის ნაწილებში საერთოთ სანივთო ქონება, აღმოჩნდა ზოგიერთ ალაგას ცოტაოდენი ზედმეტი რიცხვი მაზარებისა, რომლებიც გადაეცემა იმ ჯარის ნაწილებში, სადაც მაზარების ნაკლებულობაა. რამოდენიმე მაზარა საარტილერიო ლეგიონსაც მიეცემა დივიზიის შტაბიდან.

შაკუნი.

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**ზღვაში ჩაძირულ გემის ავტომატიურად ამოღება.**

ბრემენის გამოჩენილმა ფიზიკოსმა ლიბტრაუმ გამოიგონა ერთგვარი საშუალება, რომლის შემწეობით ზღვაში ჩაძირული გემი ავტომატიურად თავის თავად ამოდის ისევ ზღვის ზედაპირზე.

ლიბტრაუმ მოახდინა ცდა ბადენის ტბაში, ამ მიზნისათვის დამზადებულ გემის მოდელზე. ცდა შესანიშნავად დამთავრდა.

ამ გამოგონების შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახება.

ადვილი შესაძლებელია, რომ ეს გამოგონება დამყარებულია ძალიანად რაღაც აპარატზე, რომელიც მოთავსებული იქნება გემში, და მისი დაძირვის შემდეგ ამუშავებს რაღაც გაზეს, რომლებიც ეოეკეიან გემიდან წყალს, რის გამო ის ამოდის ისევ ზღვის ზედაპირზე.

თუ ეს გამოგონება მართალი გამოდგა, ის დიდი ნაბიჯი იქნება ადამიანისა და სტიქიურ მოვლენებს შორის წარმოებულ ბრძოლაში.

ეს იქნება ფანტასტიური ნაბიჯი, უდიდესი და წარმოუდგენელი გამარჯვება მეცნიერების.

ამ გამოგონების შემდეგ, გემების დაღუპვა შეუძლებელი შეიქნება.

**პური რომელიც არ ძველდება.**

ერთმა შვეიცარიულმა მეპურემ—ჟან მატიმ—ქალაქ ლოზანის ახლო აღმოაჩინა ერთგვარი საშუალება, რომლის შემწეობით გამომცხვარი პური ათეული წლობით შეინახება ისე, რომ არ წახდება და არც გაიაგრდება.

ამ აღმოჩენის დაწვრილებითი ცნობები ჯერ-ჯერობით არ გამოუქვეყნებიათ.

ექსპერტებმა გასული წლის თებერვალში ჟან მატის ლაბორატორიაში განიხილეს ახალი აღმოჩენის ნუგავლები ქვეშ ამოქცეული პური და ეხლა ათი თვის შემდეგ ეს პური ისევ იმავე მდგომარეობაში ნახეს.

პური სავსებით ახალი გამომცხვარივით იყო შენახული.

ჟან-მატიმ თავისი აღმოჩენა შესთავაზა შვეიცარიის მთავრობას.

**ახალი პომპეია (ქალაქის სახელია) აფრიკის უდაბნო სახარაში.**

მთელი საუკუნოების განმავლობაში არსებობდა არაბებს შორის გადმოცემა, რომ სახარაში დამარხული უნდა იყოს დიდი ქალაქი.

ამ ქალაქის შესახებ ლაპარაკობდენ, რომ ის უნდა მდებარეობდეს აფრიკის ერთ-ერთ ქალაქი—ტრიპოლიდან 100 ვერსის დაშორებით.

იქ იმყოფება დიდი რომაული ქალაქიო.

იტალიის მთავრობამ ამ ადგილისაკენ გაიყვანა ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა და ყოველ მხრივად ხელს უწყობს მის აღმოჩენისათვის წარმოებულ მუშაობას.

წინასწარმა მუშაობამ დაამტკიცა, რომ ამ ადგილზე მართლა იმყოფება ძველი ისტორიის ერთ-ერთი უძვირფასესი განძი.

აქ აღმოაჩინეს არა მარტო რომაული პლასტიური ხელოვნების ფასდაუდებელი ნამთები, არამედ საბერძნეთის საუკეთესო კულტურული პერიოდის ქანდაკებებიც, ჰფიქრობენ, რომ ამ ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი აღწევდა 300,000 ძდე.

არქეოლოგებს ეჭვიც არ შეაქვთ იმაში, რომ ამ ადგილზე აღმოჩენილი იქნება აურაცხელი ძვირფასი ქვები და ოქროულობა.

ამასთანავე იქ დიდი ბიბლიოთეკების ნახვასაც ფიქრობენ.

ისტორია არავითარ ცნობებს არ იძლევა ამ ქალაქის დაღუპვის შესახებ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქი შეიქნა ძლიერი ქარბუქის მსხვერპლი. შემთხვევით გასული საუკუნის შუახანებში წლებში ამ ადგილზე, როდესაც სამინელი ურაგანი ასტყდა იქ იმყოფებოდენ ფრანგი არქეოლოგების პატარა ჯგუფი.

როდესაც გაიარა ურაგანმა არქეოლოგებმა შეამჩნიეს მიწიდან თავ ამოყოფილი მაღალი სახლების და ტაძრების მარმარილოს სვეტის თავები.

ამ ჟამად ეს ადგილები იმყოფება იტალიის ხელში.

# ახალი ამბები.

— **საჩვენებელი მუშაობა ლენინის კუთხეებში.** ამ დღეებში 1-ლ ლეგიონში და არტ-ლეგიონში დაიწყება ლენინის კუთხეებში საჩვენებელი მუშაობა საქართველოს გასაბჭოების შესახებ.

— **აღმასკომის დახმარება.** ლეჩხუმის აღმასკომმა გადასდო 304 მანეთი ცაგერში მდგარ ტერნაწილისათვის ბინების მოწყობა-შეკეთებისათვის.

— **სამხედრო მაგიდების უზრუნველყოფა.** ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა მაზრაში არსებულ სამხედრო მაგიდების გამგეები აიყვანოს თავის მომარაგებაზე.

— **ტფილისის კეთილ მოწყობა.** ტფილისის აღმასკომს განზრახვა აქვს ქუჩებში დადგას საფურთხებელი ყუთები, ქალაქში სანიტარული წესების დაცვის მიზნით.

— **წყალსადენის მილები.** გასული წლის განმავლობაში ტფილისის წყალსადენს შეუძენია 12 ათასი მანეთის წყალსადენი მილები.

— **თოვლისაგან ზარალის გამოკვლევა.** შინაგან საქმეთა კომისარიატმა მიავლინა შორაპნის მაზრაში ინსტრუქტორ-კონტროლიორი, დიდი თოვლისაგან გლეხებისათვის მიყენებული ზარალიანობის გამოსაკვლევათ.

— **შეშის მიღება.** საქ. სატყეო ტრესტი ამჟამად დას... ვლეთ საქართველოდან ღებ... ლობს შეშის დიდ პარტიას.

— **წარმოკავშირში.** ამ... მად წარმოკავშირი აერთ... 118 სასოფლო-სამეურნეო კ... ოპერატივს 21 ათასი მეურნე... ბით.

— **სოფლის ნაწარმოებ... გასაღება.** დეკემბრის განმ... ლობაში წარმოკავშირმა გ... საღა 1.075 558 მანეთის ს... ფლის ნაწარმოები.

# შარადა № 1

პირველი ორი ნიშანი უნდა ვისესხოდ სამისაგან,
მეტი არ გვინდა ეს ორი საკმარისია ამისგან.

——

მეორე სიტყვამ მსოფლიოს სულ აუშალა დავთარი,
ბევრი ქვეყანა გვინახავს ჩვენ იმისაგან წამხდარი;
იმპერიალისტებს მთლად უყვარს, ჩვენ შუა ასო გვჭირდება.
(მას მაშინ ჩვენც კი მივმართავთ, თუ ვინმე აგვიხირდება).

——

სიტყვა მესამე მოკლეა—თევზის ძვალს ჰქვია სახელად,
აქაც შუა ნიშანს ავიღებთ, გვჭირდება მასამატებლად.

——

მეოთხე სიტყვა—თოვზეა, მას ბოლო ასო სცილდება,
თუ თოფს ასეთი არა აქვს ნასროლი დაგიცილდება.

——

და ბოლოს ნაზი ყვავილის გვჭირდება წინა ნიშანი,
ეხლა შეჰკრიბე ყველა და შარადაც გამოიცანი.

——

მიიღეთ სიტყვა, რომელიც რვა ნიშნისაგან შესდგება,
უმისოდ „წითელ-არმიელს“ ცხოვრება გაუჭირდება.

# რებუსი № 4 ახსნა.

**„გამოიწერეთ წითელი არმიელი.“**

გამოიცნო შემდეგმა წითელ-არმიელებმა: სამხეთ ბ... ბაშვილმა (პირველად), ინაშვილმა, სოფრომაძემ, ვეშაგურ... და გ. ბარათაშვილმა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძ...



# განცხადებები.

## ყველა ნაწილების — სამხკომებს.

ა. წ. 5 თებერვალს, ხუთშაბათს, 18 საათზე, წითელ ა... მიის და ფლოტის სახლში შესდგება ტფილისის რაიონ... მდგომ ყველა ნაწილების სასკოლო პროპაგანდის მუშაკებ... თათბირი.

**დღის წესრიგი:**

1. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მასწავლებელთა 1-... ყრილობის და სამხედრო დელეგატების თათბირის ... სახებ.

მომხსენებელი ამხ. **დოლგოპოვოლი.**

თათბირზე სავალდებულოა გამოცხადდეს ნაწილების მასწ... ლებლები თავის თანაშემწეებით, პოლიტ-ხელები და ჯგუფ... ხელმძღვანელები.

პოლიტ-განყოფილების უფროსის მოადგილე
**სიხარულიძე**

**ცხადდება ყველა ნაწილების სამხედრო კომისრებ...** საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს, 5 თებერვალს, საღამ... 6 საათზე წითელ არმიის და ფლოტის სახლში შემდ... თათბირზედ პოლიტ-ხელების დასწრება არ არის სავალდე... ლო, ვინაიდან ისინი უნდა დაესწრონ იმავე დღეს და იმ... საათზე თათბირზე, რომელიც შესდგება პოლიტ-განყოფი... ბის შენობაში.

1-ლ ქ. მ. დ. პოლიტგანის საორგანიზ. ნაწი...
უფროსი **ლომაია.**
პარტ-აღმშენებლ. ინსტრუქტორი
**პატარაია.**

**ხუთშაბათს, 5 თებერვალს,** საღამოს 6 საათზე, პოლ... განყოფილების შენობაში დანიშნულია პოლიტ-ხელების, მეჯგუფეების მდივნების და პარტიის რიგის წევრების ... თბირი.

1-ლი ქ. მ. დ. პ.-გ. საორგ. ნაწ. უფ. ლომაია.
პარტ-აღმშენ. ინსტრუქტ. პატარაი...



ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1000.